საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 300,000 მ.; უკანასკნელზე 200,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 197

შაბათი, აპრილის 22

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.

ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

შაბათს, 22 აპრილს, საქართველოს

ტოსტ-ტელეგრაფის კავშირი

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ

სასახლის ბაღში

(რუსთაველის ქუჩა)

მართავს

დიდი სეირნობას

სეირნობა დაიწყება 4 საათიდან.

სეირნობის შემდეგ გაიმართება კონცერტი სახელმწიფო ოპერის საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

შესრულებული იქნება თამარ წერეთლის მიერ ბოშების რომანსები, ქართული ხორო შეასრულებს ნაციონალურ კოსტიუმში ქართულ სიმღერებს.

სეირნობის დროს დამსწრეთათვის იქნება გამართული ლოტარეია-ალეგრი, ილიუმინაცია, მაშხალა და მოწყობილი რადიო-ტელეგრაფი, ტელეფონი, ფოსტა, ბენგალის ცეცხლი, განათებული შადრევანი და ბუფეტი საუკეთესო კახეთის ღვინით და სასმელებით.

## რუსეთ-გერმანიის შეთანხმება

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის დიდი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა გენუას კონფერენციის პროცესში და რომელიც გამოიხატება რუსეთ-გერმანეთის ახალ ხელშეკრულებაში.

ეს ხელშეკრულება აუცილებლად დიდ სკანდალს წარმოადგენს ანტანტისათვის, რომელსაც სურდა გამარჯვებული სახელმწიფოს პოზა ჰქონდა გენუაში და თავი გაუმაძღარ ყვლეფის ობიექტად გადაექცია საბჭოთა რუსეთი.

საფრანგეთის პრესის ცნობით, ამ ხელშეკრულებით ისეთი მდგომარეობა იქნება, თითქოს ლოიდ-ჯორჯმა მიტომ მოიწვია ყველა ნაციების წარმომადგენელნი გენუაში, რომ დასწრებოდნენ გერმანეთისა და რუსეთის დაქორწინებას.

ევროპის სახელმწიფოებრივი წრეები შეშფოთებულნი არიან ამ ახალი ხელშეკრულებით, რომელიც აუცილებლად ახალ ხანას იწყებს საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გენუას კონფერენცია კრიზისის წინაშე სდგას და არ იცის როგორ გზას დაადგეს.

ანტანტის მოკავშირენი სცდილობენ გამოარკვიონ თავიანთი დამოკიდებულება გერმანიისა და რუსეთის მიმართ. გენუადან მოსული ცნობით, რაპალოს სასახლეში მოხდა თათბირი შექმნილ მდგომარეობის შესახებ. მიღებულ იქმნა საერთო გადაწყვეტილება, რომელიც საერთო შეთანხმების მიხედვით ეცნობა გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარეს.

მოკავშირეებს სურთ თავიანთი თავმჯდომობისათვის დატუქსონ და დააშინონ გერმანიის დელეგაცია. ანტანტის ნოტა გერმანიისადმი აღნიშნავს, რომ ამ გვარი ხელშეკრულების დადება კონფერენციის მუშაობის დროს, არის დარღვევა იმ ვალდებულებათა, რომელიც მიიღო გერმანეთმა მიიღო რა კონფერენციაზე მოწვევის წინადადება“. „ეს ხელშეკრულება დაარღვევაა ყველა ამ პრინციპებისა, რომელსაც ეყრდნობა კონფერენცია“, ასეთია ტონი ანტანტის ნოტისა.

და მართლაც გერმანეთმა დაარღვია არა მარტო გენუას კონფერენციის ის პრინციპები, რომელსაც მას აძლევდნენ მოკავშირეები, არამედ ის მოვალეობაც, რომელიც მან დააკისრა ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით. ამიტომ არის, რომ მოკავშირეთა ექსპერტები არკვევენ, თუ რამდენად შეესაბამება გერმანიის ახალი ნაბიჯები ვერსალის პირობებს.

ვერსალმა გერმანეთი ვიწრო არტახებით შეკრა და არ აძლევდა მას გასაქანს. ეკონომიურად ყოველი მხრით დამონებული და გაძარცვული გერმანიის ხალხი პოლიტიკურადაც ანტანტის სრულს დამონებაში იყო და უსიტყვოდ ასრულებდა ყოველ მის ბრძანებას. ამ პირობების მიხედვით გერმანეთს არ ქონდა უფლება გადაედგა ანტანტის დაუკითხავად რაიმე პოლიტიკური ნაბიჯი. დღეს გერმანიამ ანტანტის პირობებს უპასუხა ისეთი აქტით, რომელიც არღვევს მას და სულ სხვაგვარ კომბინაციებს მოითხოვს.

გენუაში ანტანტას სურდა ისეთი პირობები შეექმნა, რომელიც მას საშუალებას მისცემდა ახალი გამარჯვებისათვის საბჭოთა რუსეთზე. მთელი მისი მიზანი იყო რევოლუციონურ რუსეთს დაპირისპირებოდა კაპიტალისტური სახელმწიფოების მთლიანი ფრონტით. ამ გაერთიანებულ კავშირში გერმანეთიც შედიოდა, მაგრამ არა როგორც თანატოლი და სრულუფლებიანი, არამედ ვერსალის მძიმე მოვალეობით დატვირთული. გერმანეთმა დაარღვია ეს მოვალეობა და პირდაპირის გზით უმეშვეოდ შეეკრა რუსეთს. ამ პოლიტიკური ნაბიჯის ღირებულება იმაში გამოიხატება უმთავრესად, რომ გერმანიას აღარ სურს დამონებულ მდგომარეობაში იყოს და საკუთარი საშუალებით აპირებს მოლვაწეობას. ეს არის ძველი პირობების დარღვევის დასაწყისი.

რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება არის თავისი შინაარსის მხრით სრული ახალი მოვლენა. აქ გადაწყვეტილი, დამხობილია ყველა ის მოთხოვნილებანი, რომელსაც მიმართავდა ანტანტის მოკავშირენი, ამით გერმანიამ პირველი მაგალითი უჩვენა მოწინააღმდეგეებს, თუ როგორი პირობები და დამოკიდებულება არის საჭირო საბჭოთა რუსეთთან მშვიდობის სამეურნეო ცხოვრების აღსადგენად. ამერიკული პრესა სავსებით ამართლებს ამ ხელშეკრულებას და აღნიშნავს, რომ ვილსონის პრინციპები ამოძრავებდათ გერმანეთსა და რუსეთს, რომ აწი აღარ არის დამარცხებულნი და გამარჯვებულნი. „ლოკალ ანცაიგერის“ სიტყვით, ამერიკა და ნეიტრალური სახელმწიფოები სთვლიან რუსეთ-გერმანიის შეთანხმებას გენუას კონფერენციის პირველ ფაქტიურ რეზულტატად.

ამ გვარად გერმანიამ ყოველი მხრით დაარღვია ანტანტის მიერ ძალით მოხვეული პირობები და მათი პრინციპების საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგა. ასეთი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება გერმანიის მხრით იქნებოდა ანტანტის უძლურების და დამარცხების გამოაშკარავება. ინგლისის მთავრობის ლოიდ ჯორჯს კარგად ესმის ეს, როდესაც აცხადებს, რომ ამ ჟამად ყველაზე უფრო ცუდი პოლიტიკა იქნებოდა სისუსტის პოლიტიკა. ლოიდ ჯორჯს სურს მუქარით დაამტკიცოს თავისი ძალა.

თავიანთ უკანასკნელ ნოტაში გერმანიის მიმართ მოკავშირენი კატეგორიულად სვამენ საკითხს, რომ გერმანელებმა ამ ხელშეკრულებას ხელის მოწერის შემდეგ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში.

ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ სახეს მიიღებს სახელმწიფოთა დიპლომატიური ურთიერთობა გენუის კონფერენციაზე, მხოლოდ ერთი კი თავიდანვე ნათელი არის: ანტანტის აგრესიულმა პოლიტიკამ გერმანეთი დაუკავშირა საბჭოთა რუსეთს და ამ ორი სახელმწიფოს შეთანხმება ქმნის ისეთს საერთაშორისო რეალურს ძალას, რომელიც საკმაო დიდი ანგარიშის გაწევას მოითხოვს.

**ს. დე—ნი.**

## გენუას კონფერენციის გარშემო

**რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების შემდეგ ლონდონი იყო წინასწარ გაფრთხილებული.**

**ნვუენი, 20 აპრ.** ინგლისის ელჩი ბერლინში ლორდი ებერსონი საჩქაროთ დაბრუნდა ბადენ-ბადენიდან ბერლინში. ბერლინ-ინგლისელ წრეების ცნობით, ლორდი ებერნსოი ერთი კვირით ადრე იყო გაფრთხილებული რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების შესაძლებლობის შესახებ. ლორდ ებერსონმა ეს აცნობა ლონდონს. ამრიგათ თვით ამბის მოულოდნელობა არ იყო ისე გასაკვირველი, როგორც გასაკვირველი იქნა თვით ფაქტი გენუაში აღნიშნულ ხელშეკრულების ხელის მოწერისა.

**ბოლდო, 20 აპრ.** რატენაუ ამტკიცებს, რომ მან აცნობა ლლოიდ-ჯორჯს რუსეთსა და გერმანიას შორის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა და, ამიტომ აკვირვებს ლლოიდ-ჯორჯის გაკვირვება. ამ განცხადების საპასუხოთ ლლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ყოველივე ეს სიცრუეა.

**საერთო ნდობა.**

**ბერლინი, 20 აპრ.** მოკავშირე სახელმწიფოთა დელეგაციის თავმჯდომარეებმა, პორტუგალიისა და მცირე ანტანტის დელეგაციების მეთაურებმა მიმართეს გერმანიას ნოტით, რომელშიც ბრალს სდებენ მას იმაში, რომ გერმანიამ დაარღვია საერთო ნდობის სული იმით, რომ კონფერენციის გარეშე ხელი მოაწერა რუსეთთან ხელშეკრულებას. ასეთ პირობებში გერმანიას მომავალში აღარ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დანარჩენ სახელმწიფოთა რჩევასა და შეთანხმებაში. ესევე შეიძლება ითქვას რუსეთის შესახებ.

**ბორდო, 20 აპრ.** კანცლერ ვირტს გადასცეს დიდი და მცირე ანტანტის ნოტა. ნოტაში გაკვირვებაა გამოთქმული საბჭოთა მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულების შესახებ. ნოტა აღნიშნავს, რომ ეს ხელშეკრულება არის დარღვევა იმ პირობებისა, რომლის ასრულებაც ვალად იდო გერმანიამ, როდესაც კონფერენციაში მონაწილეობის მოწვევა მიიღო. ამგვარი მოქმედება არღვევს ურთიერთი ნდობის შესაძლებლობას, რაც ეგზომ აუცილებელი იყო ევროპის აღდგენის მუშაობის ნაყოფიერებისთვის.

**პარიზი, 20 აპრ.** გაზეთი „ტან“-ი სავსებით კმაყოფილია მოკავშირეთა მიერ გერმანიის დელეგაციისადმი წარდგენილი ნოტით. ამ ნოტამ, რომელსაც სული შთაბერა ლლოიდ-ჯორჯმა, გააერთიანა დიდი და მცირე ანტანტა. „ტან“-ი მწუხარებას გამოსთქვამს მხოლოდ იმის შესახებ, რომ ნოტაში მითითებული არის გერმანიის მიერ, რუსეთთან ხელშეკრულების დადებით, საზავო ხელშეკრულების დარღვევა.

**უშედეგო პროტესტი.**

**ნაუენი, 20 აპრ.** ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ბარტუმ უარი განაცხადა რუსეთთან და გერმანიასთან ერთად საკითხების განხილვაში მონაწილეობაზე. პუანკარემ აცნობა საფრანგეთის მთავრობას უშედეგობა ბარტუს პროტესტისა, რომელიც მან განაცხადა რაპალოში რუსეთ-გერმანიის შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ. მთავრობამ დაავალა ბარტუს დაჟინებით მოითხოვოს ყოველი ზომა მიიღოს რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების გასაუქმებლად, რომელიც ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულებას და კანის დადგენილებათა პრინციპებს.

**გერმანია მართალია**

**ნაუენი 20 აპრ.** იურიდიული კომისია მივიდა იმ დასკვნამდის, რომ გერმანიას, როდესაც იგი რუსეთთან ხელშეკრულებას კრავდა, არ დაურღვევია ვერსალის ხელშეკრულება.

**ბორდო. 20 აპრ.** გაზ. „პტი პარიზენის“ ცნობით, რაპალოს ხელშეკრულობა არის ვერსალის ხელშეკრულების მე-269, 236 მუხლების დარღვევა, რადგანაც ეს მუხლები გულისხმობენ გერმანიის მიერ ყველა თავისი უფლებებსა და ინტერესებს, რომელიც მას აქვს რუსეთში საზოგადოებრივ თუ საკონცესიო წარმოებებში,—საკონტრიბუციო კომისიისათვის გადაცემის კომისიას აგრეთვე უნდა გადასცემოდა გერმანიის ეკონომიური რესურსები.

**ბერლინი. 20 აპრ.** გარეშე საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორმა ფონ-შანცაუმ განუცხადა ჟურნალისტებს, რომ რუსეთთან დადებული ხელშეკრულება თავის დროზე იყო გამოქვეყნებული ხელშეკრულების დადების დროს. გერმანია მით უფრო მართალი იყო, რომ ანტანტისა და რუსეთის წარმომადგენლებს შორის რამოდენიმე დღის უკან უკვე დაიწყო მოლაპარაკება.

**აღელვების მიზეზები**

**ბერლინი. 20 აპრ.** დელეგატები გამოსთქვამენ გაკვირვებას იმ აღელვების შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს მეორე და დიდ ანტანტის წრეებში. ცხადია, რომ გერმანია დაინტერესებულია თავისი საკუთარი ინტერესების უზრუნველყოფაში. ანტანტის წარმომადგენლების რუსეთთან მოლაპარაკებაც, თუ კი იგი გაგრძელდა, აგრეთვე მიგვიყვანს ხელშეკრულების დადებამდის. მაშ ამ შემთხვევაში რათ დაიწყო ხმაური?

**ნაუენი. 20 აპრ.** გაზ. „ფორვერტსის“ კორესპონდენტი სწერს: ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის ტაქტიკა, რომელსაც გერმანია იცავდა რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროს, იყო აუცილებელი და გამომდინარეობდა ჩვენი ინტერესებისაგან. გერმანიის დელეგაციას, რომ სხვა ტაქტიკა ეწარმოებინა, მაშინ გერმანია დადგებოდა ანტანტისა და რუსეთის შორის ხელშეკრულების დადების ფაქტის წინაშე, ხოლო ეს შეთანხმება კი აუცილებლად მიაყენებდა გერმანიას დიდ ზარალს.

**ნაუენი, 20 აპრ.** რაკოვსკიმ ჟურნალისტებთან ბაასის დროს გამოსთქვა თავისი აზრი იმ განგაში სშესახებ, რომელიც ასტეხეს რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების გარშემო. პირიქით მას კმაყოფილება უნდა გამოეწვია, რადგან იგი არის პირველი მისწრაფება ევროპის აღდგენისაკენ.

**გერმანია მოფიქრებულად მოქმედებდა.**

**ბერლინი, 20 აპრ.** რატენაუმ დაარწმუნა გერმანიისა და ამერიკის ჟურნალისტები იმაში, რომ გერმანია მოფიქრებულად მოქმედებდა, როდესაც ხელს აწერდა გერმანია-რუსეთის ხელშეკრულებას. უცხოელი კორესპონდენტები სწერენ: თუ კი შეიძლება ვილაპარაკოთ გერმანიის შეცდომებზე, ყოველ შემთხვევაში იგი აუცილებელი შედეგი შეიქნა ანტანტის მრავალ მხრივი შეცდომებისა.

**მეხი გავარდა.**

**ბორდო, 20 აპრ.** ბელგიის მთავრობისა და ბელგიის დელეგაციის თავმჯდომარე ფენისმა განაცხადა, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება წააგავს იმ მეხის გავარდნას, რომელმაც უნდა გასწმინდოს ჰაერი. იგი განამტკიცებს მოკავშირეთა და მცირე ანტანტის შორის არსებულ ერთიანობასა და კავშირს.

**რეპრესიები გერმანიის წინააღმდეგ.**

**ბორდო. 20 აპრ.** დიდი და მცირე ანტანტისა და პოლონეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს საერთო აქტს, რომლითაც გერმანია ირიცხება ყველა იმ კომისიებიდან, რომელშიც დაისმება განსახილველად რუსეთის საკითხი.

**ნაუენი, 20 აპრ.** გერმანიის დელეგაციამ განაცხადა, რომ ანტანტის დადგენილებით არ შეიძლება გერმანია გამორიცხული იყოს იმ კომისიებიდან, რომელიც განიხილავს რუსეთის საკითხს, რადგან ამისათვის საჭიროა კონფერენციის პლენუმის დადგენილება. გერმანიის დელეგაციამ განუცხადა ოფიციალური პროტესტი მისი წარმომადგენლების

კომისიებიდან გამორიცხვის შესახებ.

**გენუა. 20 აპრ.** ნეიტრალური სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა განუცხადეს კონფერენციის თავმჯდომარეს პროტესტი გერმანიის წარმომადგენლების, მათი თანხმობის გარეშე კომისიებიდან გამორიცხვის შესახებ.

**ნაუენი. 20 აპრ.** ნეიტრალურ სახელმწიფოებს განზრახვა აქვსთ მიიღონ ზომები რუსეთის წარმომადგენლებთან ერთად მოლაპარაკების შეწყვეტის წინააღმდეგ.

### პოლონეთ გერმანიის შეთანხმება.

**ნაუენი, 19 აპრ.** გერმანიის და პოლონეთის წარმომადგენლებმა ჟენევაში 18 აპრილს დასდეს ხელშეკრულება, რომელიც ეხება ზემო სილეზიაში ეკონომიური საკითხების მოწესრიგებას. პოლონელები წავიდნენ დათმობაზე შემდეგ მუხლებში: გერმანიის ქონებათა ლიკვიდაცია, უმცირესობათა დაცვა, ენა და სკოლის პრობლემა.

### მთელი ევროპა შეშფოთებულია.

**რომი. 19 აპრილი (რადიო).** რუსეთ გერმანიის ხელშეკრულებამ, რომელიც ოფიციალურად აცნობეს იტალიის დელეგაციას, გამოიწვია ცხოველი აზრთა გაცვლა გამოცვლა იტალიისა და საერთოდ ევროპულ პრესაში. ჰავასის სააგენტო იუწყება რომ გერმანიამ თავისი ამგვარი მანევრით და სწრაფ მოკავშირეების რუსეთის პრობლემის გადაწყვეტის საქმეში, რითაც, რასაკვირველია, მას სურდა ერთგვარი უპირატესობათა მიღება.

## პრესის აზრი.

### გერმანიის პრესა.

**ნაუენი, 19 აპრილი** გერმანიის პრესა იუწყება, რომ ანტანტა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების განხილვის შემდეგ, თვით დაიწყებს რუსეთთან მოლაპარაკებას. გაზეთ „ფოსიშე ცაიტუნგი"-ს სიტყვით რუსეთ გერმანიის ხელშეკრულება არ აყენებს ახალ საერთაშორისო პირობებს, არამედ ისახავს მხოლოდ ეკონომიურ მიზნებს. ხელშეკრულების საფუძვლად შეადგინეს მეგობრული და მშვიდობიანი დამოკიდებულების აღდგენა, რომელიც არსებობდა ორივე ამ სახელმწიფოთა შორის.

### ამერიკის პრესა.

**ბერლინი, 19 აპრილი.** გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნ"-ის ცნობით, გერმანიასა და რუსეთს, როდესაც ისინი ხელს აწერდნენ ხელშეკრულებას და უარს აცხადებდნენ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაზე, ამოქმედებდათ ის პრინციპები, რომელიც გამოქვეყნებული იყო ვილსონის მიერ, სახელდობრ ის, რომ ამიერიდან აღარ არიან არც გამარჯვებულნი და არც დამარცხებულნი. გაზეთ „ლოკალ ანცაიგერ"-ის სიტყვით, ამერიკა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულობას სთვლის ჟენევის კონფერენციის პირველ ფაქტიურ შედეგად.

### საფრანგეთის პრესა.

**პარიზი 19 აპრილი.** საფრანგეთის გაზეთები ამტკიცებენ, რომ რუსებსა და გერმანელებს აღარაფერი დარჩათ გასაკეთებელი კონფერენციის კომისიებში, რადგანაც მათ მიერ უკვე დადებული ხელშეკრულება უარყოფს მათი წარმომადგენლების იმ საერთაშორისო ყრილობაზე მონაწილეობის აუცილებლობას, რომელიც მოწვეული იყო სწორედ ამ საკითხის გადასაწყვეტად. პარიზის პრესა აღნიშნავს, რომ ლოიდ ჯორჯი „აღშფოთებულია ამგვარი საქციელით, რომელიც შეურაცხყოფს მის ღირსებას". გაზეთები აღნიშნავენ, რომ მდგომარეობა შეიქნა ისეთი, თითქოს „ლოიდ ჯორჯმა მიიწვია ჟენევაში სახელმწიფოთა წარმომადგენლები მხოლოდ იმისათვის, რომ დასწრებოდნენ გერმანია-რუსეთის დაქორწინებას". ზოგიერთი მემარჯვენე გაზეთები ზეიმობენ და აღნიშნავენ, რომ ბოლოს და ბოლოს „იტალიელებს საბჭოთა რუსეთის იმედი გაუცრუვდათ, რომელიც ამ თავისი გამოსვლით ლამობენ კონფერენციის ჩაშლას. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ იტალია იყო საბჭოთა რუსეთის ერთ-ერთი დამცველთაგანი".

### რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება.

**რომი, 19 აპრილი.** 18 აპრილს რატენაუმ გერმანიის სახელითა და ჩიჩერინმა რუსეთის სახელით რაპალოში (ჟენევის ახლო) ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალითაც ეს სახელმწიფონი ურთიერთ უარს აცხადებენ როგორც ომის მიერ მიყენებული ზარალის, ისე სამხედრო ტყვეების შესანახად გაღებულ ხარჯების დაფარვაზე. ხელშეკრულობა ითვალისწინებს გამოზიდული მასალისათვის ხარჯების ანაზღაურებას, სახელმწიფოებრივს და კერძო უფლების ცნობას და დიპლომატიურისა და სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას.

### შეშფოთდნენ.

**ბორდო, 19 აპრილი.** იურისტი ექსპერტები უკვე შეუდგნენ გერმანია-რუსეთის ხელშეკრულების ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით განხილვას. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ გერმანიისა და რუსეთის რისურსები უნდა ეცნობოს საკონტრიბუციო კომისიას. მოკავშირე სახელმწიფოთა განზრახვა აქვთ საწრაფოდ განიხილონ საკითხი, არის თუ არა გერმანია-რუსეთის ხელშეკრულება კერძო შეთანხმება ევროპის აღდგენის საერთო გეგმასთან, რომლის შემუშავებაც წარმოადგენს ჟენევას კონფერენციის მთავარ მიზანს.

**ბერლინი. 19 აპრილი,** დიდი და მცირე ანტანტის დელეგატების მეთაურები შეიკრიბნენ იმ თათბირზე, რომელსაც მიზნად აქვს დასახული შექმნილი მდგომარეობის განხილვა. თათბირი გაიმართა ლოიდ ჯორჯის მიერ დაკავებულ შენობაში; თათბირმა უნდა მოისმინოს იურიდიულ კომისიის მოხსენება და გამოარკვიოს თუ რა ნაბიჯები უნდა იქნეს გადადგმული.

**ბორდო. 19 აპრილი,** ამ თათბირზე ლოიდ ჯორჯმა ენერგიულად განაცხადა, რომ პასუხისმგებლობა შექმნილი მდგომარეობის შესახებ ერთგვარად აწევს გერმანიასა და რუსეთს. სეპარატიული ხელშეკრულების დადების ფაქტი უთავისად დააწვება კისერზე გერმანიას, რომელმაც ხელი მოაწერა ვერსალის ხელშეკრულებას და რომელშიც რუსეთს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ლოიდ ჯორჯმა ხაზი გაუსვა გერმანიაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, რათა მან გააუქმოს უკვე დადებული ხელშეკრულება, ლოიდ ჯორჯმა დასასრულ განაცხადა, რომ ამ ჟამად ყველაზე უფრო ცუდი პოლიტიკა იქნება სისუსტის პოლიტიკა.

თათბირი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოკავშირეებმა განსაკუთრებული ნოტით უნდა აცნობონ რუსეთისა და გერმანიის დელეგაციებს, რომ მათ მიერ სეპარატიული ხელშეკრულობის დადების დროს დაკავებული პოზიცია ჰქმნის მოკავშირეთა იმ კომისიაში მონაწილეობის შეუძლებლობას, რომელსაც დავალებული აქვს რუსეთის საკითხის განხილვა, თუ, რასაკვირველია გერმანია დაჟინებით მოითხოვს რუსეთთან მის მიერ დადებულ ხელშეკრულების დაცვას.

### „ჟენევა სურთ ჩაშალონ"

**მოსკოვი 20 აპრ.** საბჭოთა პრესა—ერთხმად აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ მტაცებელ კერძო კაპიტალის წარმომადგენლებს სურთ ჩაშალონ ჟენევა, რომ ისინი „ჯერ გაუგონელი იმპერიალისტური ხეპრეობით" ექცევიან საბჭოთა რუსეთს, მოაგონებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ჩვენ ძალას—და კაპიტალისტური ქვეყნების მილიონ უმუშევართ.

გაზეთი „იზვესტია" სწერს: „ჩვენ გარეშეა უკვე საბჭოთა დელეგაციის მორალური გამარჯვება ჟენევაში. ამას აღარ უარყოფენ არცერთი ქვეყნისა და მიმართ. გაზეთები მაგრამ მორალური, გამარჯვებიდან — ნამდვილ გამარჯვებამდე დიდი მანძილია და „დიდ" სახელმწიფოდ, რომელთაც განიცადეს დამარცხება პრინციპიალურ კამათში, ცოტახნის შეჯიბრების შემდეგ, სურთ რეჟიმში მოიყვანონ უფრო არსებით საკითხებში, ლონდონის ექსპერტების დაწყევლილი მოხსენება საგნებით გადმოთიოდა დაპყრობითი, ძალადობისა და მტაცებლობის სურვილებით. ეს არის ცდა ჩაშალონ საკითხი საბჭოთა კონტრპრეტენზიების შესახებ, შექმნან რუსეთში კაპიტულაციის რეჟიმი და ჩუმად აღადგინონ რუსეთში კერძო საკუთრებისა და ბურჟუაზიის ბატონობა. ის მოთხოვნილებები, რომელსაც ხსენებული მოხსენება შეიცავს, წარმოადგენენ ცხადად მისწრაფებას ჩვენ შინაურ საქმეებში ჩარევისას და გამოხატავენ დაფარულ მუქარას ჩვენში ჩვენივე კანონებით დაწესებულ პოლიტიკურ წყობილების მიმართ. დაეთანხმება თუ არა საბჭოთა რუსეთი ამ ლონდონისებურ პირობებს? საბჭოთა რუსეთი არავითარ შემთხვევაში და არასოდეს არ ფიქრობს კაპიტულაციას. იგი მთლიანად, თავისი ყველა სოციალური ჯგუფების სახით, ერთხმად უარყოფს ლონდონის ექსპერტების მიერ შემუშავებულ მოხსენების პრინციპებს, რომელიც მთელი საბჭოთა რუსეთის თვალსაზრისით წარმოადგენს პირდაპირსა და უხეშ მუქარას მიმართულს არა მარტო მისი კეთილდღეობის, არამედ რუსეთის ხალხის სუვერენულ უფლებათა წინააღმდეგ, მუქარას არა მარტო მისი სიცოცხლის, არამედ ღირსების წინააღმდეგაც. ძნელია იმის თქმა თუ რითი დამთავრდება ეს დაწყებული ბრძოლა; მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება დანამდვილებით: ან ყველაფერი ჩაიფუშება, ან არა და თუ შეთანხმება მოხდა, ყოველ შემთხვევაში ეს მოხდება არა პარიზის ჩანჩქერისა და იმპერიალისტების გაიძვერა მტაცებლობისა და დაბალი ღირსების ღვარძლი ნიშნის კარნახით. რომელსაც ამ სულთამხუთავების მისწრაფებები გამაშკარავებულია, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ყველა საშუალებით და ყველგან იერიშების პირდაპირ და ენერგიულად მოგერიებისათვის".

— ის საერთო დასკვნა, რომელსაც აკეთებს საბჭოთა პრესა ჟენევას მუშაობის პირველი დღეებისას, შემდეგია: ჟენევას დიპლომატებს სურთ, გარეშე თავიანთი საკუთარი საზეიმო განცხადებებისა, განაგრძონ დანგრევა და გაპარტახება სახელმწიფოებისა და ქვეყნებისა და პირველ ყოვლისა რუსეთისა და გერმანიის თუ დიპლომატიის არა, იარაღის საშუალებით მაინც. მთელი ქვეყნის აშრომელმა მასამ და პირველ ყოვლისა გერმანია-რუსეთისამ, უნდა შეაკავონ მოწინააღმდეგეთა ეს მოძრაობა.

### ანტანტის წერილობითი განცხადება.

**ჟენევა, აპრილის 19-ს** [illegible] სახლში [illegible] თათბირი [illegible] შექმნილი მდგომარეობის [illegible] სახიფათოდ დიპლომატებს ძლიერ ცხოველი ხასიათი ჰქონდა. ყველა დელეგატები შეუერთდნენ ლოიდ-ჯორჯის წინადადებას. იტალიისა და საფრანგეთის წარმომადგენლები ჰსცდილობდნენ საერთო ძალ-ღონით შეემსუბუქებინათ ლოიდ ჯორჯის წინადადება. მიღებული იქნა გარკვეული გადაწყვეტილება, რომელიც საერთო შეთანხმების მიხედვით ეცნობა გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარეს შემდეგი წერილობითი განცხადების (ნოტის) სახით:

„ბატონო თავმჯდომარევ! ქვემორე ამისა ხელის მომწერი სახელმწიფონი გაკვირვებულნი არიან იმ ცნობით, რომ გერმანიამ, კონფერენციის მუშაობის დაწყებისას და დანარჩენ აქ მყოფ დელეგაციათა წინასწარი გაფრთხილების გარეშე, დასდვა აქ საიდუმლო ხელშეკრულება საბჭოთა მთავრობასთან. საკითხები, რომელსაც ეხება ხსენებული ხელშეკრულება, არის ამ ჟამად საგანი ერთის მხრივ რუსეთისა და მეორე მხრივ კონფერენციაზე მოწვეულ ყველა სხვა სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებისა და მათ შორის თვით გერმანიისაც.

ჯერ ერთი კვირაც კი არ გასულა მას შემდეგ. რაც გერმანიის კანცლერმა კონფერენციის გახსნის დღეს განაცხადა, რომ გერმანიის დელეგაციას განზრახვა აქვს ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოებთან აღნიშნულ საკითხების ლოიალურად და სოლიდარულად გადაწყვეტის საქმეში. ქვემორე ამისა ხელის მომწერი სახელმწიფონი აუცილებლად გარემოებად სთვლიან აცნობონ გერმანიის დელეგაციას სავსებით გულახდილად თავისი აზრი, რომელიც მდგომარეობს იმაში რომ ამგვარი ხელშეკრულების დადება კონფერენციის მუშაობის დროს, არის დარღვევა იმ ვალდებულებათა, რომელიც მიიღო გერმანიამ მიიღო რა კონფერენციაზე მოწვევის წინადადება. მოიწვიეთ რა გერმანია ჟენევაში და წინადადება მიეცა რა მას გამოეგზავნოს თავისი წარმომადგენლები ყველა კომისიებში თანასწორუფლებებით, კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოებმა ამით მას მისცეს დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ისინი ივიწყებენ წარსულ ომს და აძლევენ გერმანიას შესაძლებლობას პირნათლად ითანამშრომლოს ყოფილ მტრებთან იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც მიზნად დაისახა კონფერენციამ.

ამ წინადადებაზე, რომელიც ნაკარნახევი იყო კეთილი განზრახვებითა და სოლიდარობის გრძნობით, გერმანიამ უპასუხა ისეთი აქტით, რომელიც არ...

---

# მეტაფიზიკოსის დღიური

## ოსვალდ შპენგლერი.*)

There are more things in heaven and earth Horatio, than are dreamt of in your philosophy.

ცაში და მიწაზე მასზე მეტი რამეებია ჰორაციო, ვიდრე თქვენ ფილოსოფიას ოდესმე დასიზმრებია.

შექსპირი.

მსოფლიო სურათის სვიმბოლიკა და პრობლემა სივრცისა. რაი არს სვიმბოლო? იდეია მაკროკოზმისა. მსოფლიო ვითარცა სვიმბოლოთა კრებული. ყოველ კაცს თავისი საკუთარი გარესამყარო აქვს, სივრცე და სიკვდილი. „ყოველივე წარმავალი სვიმბოლოა მხოლოდ". მესამე დიმენსია. კანტის თეორია. ყოველივე კულტურას საკუთარი პირველ სვიმბოლო მოეპოვება, დასავლეთის პირველ სვიმბოლოა: უსაზღვრო სივრცე. კანტის პრობლემა ბერძნებს არ ესმოდათ. ანტიკის პირველსვიმბოლო მატერიალური ცალსხეულია.

აპოლინური, ფაუსტური, მაგიური სული. ოლიმპი და ვალჰალი. მაგიური და ფაუსტური ქრისტიანობა. ანტიკური პოლითეიზმი (ღვთაება ვითარცა სხეული) დასავლეთური მონოთეიზმი (ღვთაება ვითარცა სივრცე).

ეგვიპტური პირველსვიმბოლო გზაა, პირამიდების არქიტექტურის აზრი.

ორმაგობა ხელოვნებისა, იმიტაცია და სვიმბოლიკა. (მსოფლიო წყურვილი და მსოფლიო შიში). ქვა და პირველსვიმბოლო. სახელმწიფოს ფორმა და არქიტექტურის ფორმა. გამოთქმა ნებისყოფისა, დაჩრდილვის, გამძლეობისა. ჰოჰენშტაუფენები და ფარაონები.

პრობლემა სტილისა. მთლიანობა და გამძლეობა ერთი და იმავე კულტურის ფარგლებში.

... სტილის ერთგვარობა რომანტიკიდან ამპირამდის. ლირიკა და იონიკა, გოთიკა და ბაროკო. ხელოვნებათა მეცნიერების მიზანი და ამოცანა.

მუსიკა და პლასტიკა. მუსიკა. ანტიკურ ხელოვნებების ტენდენციები გარისულ ხაზებისადმი.

კონტრაპუნქტი და ანალიზის. მუსიკის გამარჯვება მხატვრობაზე და არქიტექტურაზე: როკოკო.

რენესანსის ძირითადი ხასიათი ანტიგოტიური—ანტი-მუსიკალურია.

ფლორენციის ფრესკო და სტატუა გოტიურ ფორმის გრძნობის პირმშოა. ჰოსტორიული ლანდშაფტი.

ფერადების სვიმბოლიკა.

აქტი და პორტრეტი. ანტიკური და დასავლეთური იდეალური ადამიანის ეკზემპლარი. პორტრეტი ფლორენციასა და ვენეციაში. მიქელ ანჯელო და დასავლეთის პლასტიკის აღსასრული. ლეონარდო თავისუფალი იყო რენესანსურ იდეალებისაგან. რაფაელის სიქსტინელი მადონა უკანასკნელი დიდი ხაზია დასავლეთის ხელოვნებისა.

ფაუსტურ კულტურაში ინსტრუმენტალი მუსიკა ბატონობს, აპოლინურში აქტების პლასტიკა. მცნება იმპრესიონიზმისა. კულტურა და ცივილიზაცია. დასავლეთის მხატვრობის გამოსავალი.

ტრისტანითა და პარსიფალით დასრულებულია ფაუსტური მუსიკა.

ბაიროთი და პერგამონ, დასასრული ანტიკურ სკულპტურისა. შეუძლებლობა ორგანიული განვითარებისა. ალექსანდრიზმი. უკანასკნელი სტადიები ეგვიპტურ და ანტიკურ ხელოვნებათა.

სურათი სულისა და ცხოვრების გრძნობა.

მეცნიერება „სულისათვის" ვითარცა შეუძლებელი მეცნიერება. სურათი სულისა ყოველ კულტურის წიაღში მსოფლიო სურათის ფუნქციაა. „სულის სხეულება", „სულის სივრცეობა" ანტიკურ და დასავლურ კულტურათა. ნებისყოფა წარმომადგენელია ისტორიული გრძნობისა. ნებისყოფა ძალაუფლებისადმი = სულიერი დინამიკაა. ანტიკა და სტატიკა.

აპოლინური და ფაუსტური ტრაგიკა. მცნება კათარზისისა და სოციალიზმი.

ბუდიზმი, სტოიციზმი, სოციალიზმი.

Du sallst=შენ უნდა, სპეციფიური ფაუსტიური (კანტისეული) ფორმაა მორალის. კატარზის და ნირვანა. არა თანაგრძნობის—არამედ ბატონური მორალი ნიცშესი ახასიათებს ფაუსტურ სულს.

კულტურის ცივილიზაციად ჰქნა ბუდა, სოკრატეს, რუსსო, ვექილები დიდი ცივილიზაციისა. ტრაგიკული და პლებეიების მორალი.

ეპიკურის და სტოა, შექსპირი და თანამედროვეობა.

პირველი ბუდიზმი რელიგია არა ყოფილა. კულტურა და რელიგია ცივილიზაცია და ურწმუნოება.

დიდი ქალაქის მოქალაქე ახალი მოაზროვნე უთილისი რანგისა (მოიგონეთ გოეთეს სიტყვები: პატარა ქალაქის მოქალაქეს პატარა თავი აქვს. (კანტი?)

სოციალიზმის ორგვარი გაგება: ფორმა მომავალისა, ფორმა დაღუპვისა (რადგან ევროპიული — დასავლეთური კულტურა თავის შინა ბუნებისა და ტრადიციის მიხედვით ინდივიდუალისტურია: ასე რენესანსი, როკოკო, გოეთე, ნაპოლეონი და ნიცშე).

რომაელები უნებლიე სტოიკები იყვნენ. სოციალიზმი კანტიდან და არა მარქსიდან იწყება Du sullst! კატეგორიული იმპერატივი კანტისა გადმოხერხდება პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. ჰეგელის სკოლა, შოპენჰაუერი და ანტიცეპაცია დარვინისა, ზიკაცი ნიცშე და ბერნარ შოუ. დარვინიზმი (შემდეგ ნიცშე) შეიცავს იდეა უკანასკნელი კონსეკვენცია კანტისეულ Du solst.

შპენგლერის იდეების დაახლოებითი გადმოცემა დასრულებულად ვერ ჩაითვლება თუ ჩვენ გოეთეს ფენომენოლოგიას არ შევეხებით. დღეს ჩვენი თანამედროვეობა აშკარად ჰხედავს თუ როგორ იზრდება გოეთეს გავლენა.

დასავლეთის ინტელექტუალურ ცხოვრებაში დღეს გოეთეს ნიშნის ქვეშ მიდის როგორც არა ოფიციალი, კათედრის გარეშე ფილოსოფია, ისე მისტიკა. შპენგლერიც თავიდან ბოლომდის გოეთეს ფენომენითაა შეპყრობილი. შპენგლერის ინტერპრეტაციისთვის საჭიროა მისი ისტორიზმის გაგება, რადგან მისი წიგნი ისტორიულ ფილოსოფიური აპერცეპციის მოძებნას ითხოვს. იგი ილაშქრებს ძველი სასკოლო ისტორიზმის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ისტორია წარმოედგინათ დაუსრულებელ ფაქტოლოგიათ და მეფეების და ომების უთავბოლო სტატისტიკად.

კულტურები — ორგანიზმებია, ისტორია ამ კულტურათა, ავტობიოგრაფიაა.

შპენგლერის მსოფლიო ისტორიის ესთეტიკაც ასე უდგება პრობლემას. ისტორია არა ვითარცა მშრალი ფაქტოლოგია არამედ ბიოსტორია ცვალცვალკე კულტურ ფენომენებისა. ისტორია როგორც მელექტ ვინაიდან ყოველი დიდი ისტორიკოსი მუდამ დიდი მელექტრისტი და პოეტი ყოფილა, ასე თუკიდიდეს, პლუტარქოს, რანკე, ლენინი.

შპენგლერისათვის ისტორია რომელიმე კულტურისა ეს ცხადყოფაა მისი შინაგანი პოტენციისა.

ხოლო სრულყოფა მისი შინაგანი ძალებისა ამ კულტურის აღსასრულს მოასწავებს. კულტურა—პირველ ფენომენი—ყოველივე განვლილ ისე ქცევადი განძრახულ მსოფლიო ისტორიის ეს გახლავთ გოეთეს ურფენომენის სწავლა, რომლისთვისაც ჯეროვანი ყურადღება არ იყო დღემდის მიქცეული. იმისთვის ამოქმედებს არა ანალიტიური გონება Verstand, არამედ ჭვრეტადი მსოფლიო გრძნობა—Weltgefüle გოეთეს ბუნები ინტუიციის ძალა.

„უდიდესი რისი მიღწევაც შეუძლია ადამიანს ეს არის—განცვიფრება და როცა მას პირველფენომენი განცვიფრებაში მოიყვანს, მან ეს უნდა იკმაროს, ამაზე მეტს იგი ნურას ეძებს აქ არის საზღვარი ხოლო ურფენომენი არის ნათელხილვით შენიშნული იდეა ყოფნისა, Werden".

გოეთე პირველმცენარეულს ხედავს ყოველი მცენარის არსში, აქ გრძნობს იგი ყოფნის პირველმიზეზს.

მცენარეთა მეტამორფოზიდან გოეთე ამ მოძღვრებას ავრცელებდა ყოველ სხვა, შესაძლებელ ფენომენზე.

გოეთესეული ურფენომენი გახლავთ წმინდა განჭვრეტა—Reine Ancshau განსაზღვრული იდეასა, არა შემეცნება რომელიმე მცნებისა—Der Begriff ... დის ისტორიოგრაფია მექანისტურ სისტემატიკაში იხრჩობოდა. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ეკონომიურ ფაქტორებზე და სხვა ამგვარ წვრილ ბიზნესზე ხალტურიაზე დაიწყეს ლაპარაკი ისტორიულ მეცნიერებაში.

მეოცე საუკუნის ვალია ამ გოეთეურ ფენომენოლოგიის მიხედვით შევიგნოთ სტრუქტურა ისტორიულ ორგანიზმებისა.

კონსტანტინე გამსახურდია

*) იხ. „ტრიბუნა" № 196.

ღვევს ამ ურთიერთ ნდობის სურვილებსა რაც აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, რომლის განმტკიცებაც კონფერენციის მთავარ მიზანს შეადგენს. ყველა კონფერენციებზე ოფიციალური მოლაპარაკებანი მხარეთა შორის არა თუ კანონიერია, არამედ სასურველიცაა. ის სასარგებლოა, რამდენადაც ხელს უწყობს საერთო მიზნების განხორციელებას და რამდენადაც მისი შედეგები შემდეგ წარედგინება კონფერენციას განსახილველად და გადასაწყვეტად. მაგრამ გერმანიის დელეგატები მოიქცნენ სულ სხვა გვარად. იმ დროს, როდესაც კონფერენცია განაგრძობდა თავის მუშაობას და გერმანიაც წარმოდგენილი იყო ყველა კომისიებსა და ქვეკომისიებში, რომელთაც დავალებული აქვთ რუსეთთან მოლაპარაკების წარმოება საერთო ევროპიული ზავის ჩამოსაგდებად კ ნის გადაწყვეტილებათა საფუძვლებზე, აღნიშნულ კომისიების გერმანიის წარმომადგენლებმა, თავის კოლეგებისაგან საიდუმლოდ, ხელი მოაწერეს რუსეთთან საიდუმლო ხელშეკრულებას, რომელიც შეიცავს ისეთ საკითხებს, რომელთა შესახებაც მათ თავის თავზე მიიღეს სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ვალდებულებანი.

ასეთია ხელშეკრულება არ შეიძლება განიხილოს და დაამტკიცოს კონფერენციამ. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი საბოლოოა და არც ფიქრობდნენ მის კონფერენციაზე განსახილველად წარდგენას. ეს ხელშეკრულება დარღვევაა ყველა იმ პრინციპებისა, რომელსაც ეყრდნობა კონფერენცია. ყოველივე ამის გამო, უწყებულ ნოტის ხელის მომწერნი სახელმწიფონი იძულებულნი არიან ჰკითხონ თავის თავს: სწორი იყო თუ არა, მიზან შეწონილი იყო თუ არა ის გარემოება, რომ გერმანია, რომელმაც შეკრა რუსეთთან ცალკე ხელშეკრულება, მონაწილეობას იღებდა იმ საკითხის განხილვაში, რომელსაც აზრად ჰქონდა ჩვენსა და რუსეთთან შესაძლებლობის გამორკვევა.

აღნიშნულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები იმ საკითხში იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ გერმანიის დელეგატები, მიიღეს რა მათ ვალდებულება.. (გამოტოვებულია), ქონდათ განზრახვა შემდეგ უარი ეთქვათ მონაწილეობა მიეღოთ, კონფერენციაზე წარმოდგენილ სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის, შეთანხმების განხილვაში.

მიიღეთ ბატონო თავმჯდომარე ჩვენი ღრმა პატივისცემა. ნოტას ხელს აწერენ: ლოიდ-ჯორჯი, ლუიჯი ფაქტა, ბარტუ, ფენისი, ედუარდ სკირმუნტი, დიამანტი, გომესი.

### კონფერენციამ უნდა განაგრძოს მუშაობა.

**ბორდო.** 19 აპრილი. იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრი შანცერი მოითხოვს კონფერენციის მუშაობის აუცილებლად გაგრძელებას. შანცერმა გამოსთქვა ის აზრი, რომ გენუიდან რუსეთისა და გერმანიის დელეგაციების წასვლა, აუცილებლად გამოიწვევს ყველა სხვა დელეგატების გამგზავრებასაც.

### განიარაღების საკითხი.

**მანჩესტერი.** 17 აპრილი, საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს, ზოგიერთ გაზეთების ცნობით, განუცხადებია, რომ საფრანგეთის მთავრობამ 14 აპრილს დაადგინა არ გაუწიოს წინააღმდეგობა გენუას კონფერენციაზე განიარაღების საკითხის განხილვას თუ მას კვლავ აღძრავენ კონფერენციაზე საფრანგეთის მთავრობა აცხადებს, რომ იგი, როგორც წინათაც, სდგას ბულონის შეთანხმების ნიადაგზე და თავიანთ დელეგატების საშუალებით ყოველ შემთხვევაში, განზრახ, დასვამს განიარაღების საკითხს ერთა ლიგის მიერ განსახილველად.

**ნაუენი.** საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი უარყოფს იმ ხმებს, თითქოს საფრანგეთის მთავრობა თანახმა იყოს დაუშვას გენუას კონფერენციაზე განიარაღების საკითხის განხილვა.

**ბორდო.** გაზეთი „პტი პარიზიენი" სწერს: თუ საფრანგეთის დელეგაციის მოთხოვნილება, განიარაღების საკითხის ერთა ლიგისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ, არ იქნა დაკმაყოფილებული, მაშინ საფრანგეთის მთავრობა თავს შეიკავებს და მონაწილეობას არ მიიღებს მის გარჩევა-გადაწყვეტაში, ამ თვალსაზრისს აუცილებლად და გადაჭრით მხარს დაუჭერენ მცირე ანტანტის დელეგატები.

## რუსეთის პრობლემა.

### კერძო მოლაპარაკება.

**გენუა.** 15 აპრილი. 15 აპრილს დილით შეიკრიბნენ იტალიის, საფრანგეთის, ინგლისის და ბელგიის ექსპერტები რუსეთის დელეგატებთან ერთად მიმდინარე საკითხების განსახილველად, რომლებიც დაკავშირებულია რუსეთის პრობლემასთან. ამ თათბირის მიზანია უდიდეს შეთანხმების მისაღწევ გზების გამოძებნა. საბოლოო რედაქცია მომავალ შეთანხმებისა შემუშავებულ უნდა იქნეს № 1 კომისიის მიერ. იმავე დარბაზში რამოდენიმე საათის შემდეგ უნდა შეკრებილიყვნენ იტალიის, ინგლისის საფრანგეთის და ბელგიის დელეგატები აღნიშნულ სახელმწიფოთა ექსპერტებთან და რუსეთის დელეგატებთან ერთად სათათბიროდ.

### გადამწყვეტი დღე.

**გენუა.** 16 აპრილი. ბარტუმ განუცხადა გაზეთების კორესპონდენტებს, რომ 15 აპრილი უნდა იქნეს რუსეთის დელეგატებთან მოლაპარაკებაში გადამწყვეტ დღედ. მისი სიტყვებით იგივე განაცხადა ლოიდ ჯორჯმაც, რომელმაც რუსეთის დელეგაციას აცნობა რუსეთის მხრით ლონდონში ექსპერტების მიერ გამომუშავებული პროექტი პრინციპების მიღების ან უარყოფის გადაწყვეტის აუცილებლობის შესახებ. ლოიდ ჯორჯმა სთხოვა რუსეთის დელეგაციას გაეცა პასუხი დასმულ კითხვაზე შაბათის განმავლობაში. ბარტუმ განაცხადა: თუ რუსეთის დელეგაციის პასუხი იქნება არა სასურველი, გენუის კონფერენცია გვერდს აუვლის რუსეთის პრობლემას და დაიწყებს სხვა საკითხების გარჩევას.

# ოსმალეთი

### დროებითი ზავი.

**ნაუენი** 17 აპრილი. კონსტანტინეპოლიდან იტყობინებიან: მოკავშირეთა ქვეყნების წარმომადგენლებმა ანგორას წარმომადგენელთ ჩააბარეს მოკავშირეების პასუხი ანგორის მთავრობის კონტრ-წინადადებებზე საბერძნეთ-ოსმალეთს შორის დროებითი ზავის შესახებ.

მოკავშირეები აცხადებენ, რომ მათ არ შეუძლიათ ანატოლიის დაუყოვნებლივი ევაკუაციის დადასტურება, როგორც დროებითი ზავის პირობისა, რადგან იგი უარყოფილი იქნება საბერძნეთში. თუ გინდ მოკავშირეებს მიეღოთ ანგორის კონტრ-წინადადებანი, მაშინაც არ შეეძლოთ ხელი შეეშალა საბერძნეთისათვის, რომ თრაკიაში ახალი ჯარები არ შეეყვანა და ომი არ განეახლებინა. იმათ ძალუძთ, შეუძლიათ მხოლოდ დააჩქარონ ანატოლიის ევაკუაცია, რომელიც დაიწყობა დაუყოვნებლივ ზავის წინასწარ პირობების მიღების შემდეგ. მოკავშირეთა ნოტაში გამოთქმულია იმედი ანგორის უმთავრეს მოთხოვნილებების ზოგიერთ მუხლების დაკმაყოფილების შესახებ.

### დროებითი ზავის საკითხის გამო.

**ტრაპეზუნდი.** 13 აპრილი. „ისტიკბალი" თავის მეთაურში სწერს: დროებითი ზავის პირობები, რომელიც დიდ მოკავშირეებმა წამოაყენეს, ხელს ვერ შეუწყობს უახლოეს აღმოსავლეთში ზავის დამყარებას. ამ პირობების და სევრის ხელშეკრულობის შორის განსხვავება მხოლოდ გარეგნულია—პრინციპები კი—ერთგვარი. სმირნა და ოსმალეთის თრაკია დარჩებიან საბერძნეთს მაშინ, როდესაც ყოველ თვალსაზრისით ესენი ეკუთვნიან ოსმალეთს. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს არა სურთ მიიღონ „ეროვნული აღთქმის" პირობები როგორც საფუძველი მომავალ ზავისა, რომელიც ოსმალეთისთვის ერთად ერთი გამოსავალი არის ომიდან.

იგივე გაზეთი მეორე მეთაურში სწერს: „დროებითი ზავის პირობები აკმაყოფილებენ მარტო ბერძნებს. ჩვენი ინტერესები უყურადღებოდ რჩება. ლორდი კერზონი, სევრის ხელშეკრულობის ავტორი, არის ერთ და იმავე დროს დროებითი ზავის ავტორიც, ყოვლად შეუთანხმებელი ჩვენ „ეროვნულ აღთქმასთან". ანგორამ წამოაყენა მთელი რიგი კონტრ-პირობების დროებითი ზავის უზრუნველსაყოფად. ჩვენ ვფიქრობთ, დასავლეთის მოკავშირეებმა გაიგეს, რომ ჩვენ ეროვნულ მისწრაფებებზე ხელს ვერ აგვაღებინებდნენ და აიძულებენ ბერძნებს მიიღონ ჩვენი კონტრ-პირობები უახლოეს აღმოსავლეთში ნამდვილ ზავის ჩამოსაგდებად. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლიან ჩვენ დროებითი ზავის შეკვრა".

# სამი ინტერნაციონალის კონფერენცია

### რედაქციისაგან.

სამი ინტერნაციონალის კონფერენციის შესახებ სრული ცნობები არ იყო გამოქვეყნებული ქართულ პრესაში. არ იყო მაგ. მოყვანილი სიტყვები სერატის, ბაუერის და თვით მიღებული დეკლარაცია. ამიტომ ვათავსებთ მოსკოვის „პრავდიდან" ქვემოდ მოყვანილ ცნობებს. სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე პირველად ილაპარაკა ფრ. ადლერმა, კლარა ცეტკინმა, ვანდერველდემ,, პოლ ფორმა და რადეკმა. კონფერენციის ერთი დღის შეწყვეტის შემდეგ, სიტყვას ამბობს მაკდონალდი და სხვა.

### მაკდონალდის სიტყვა.

**ბერლინი.** 6 აპრილი. ერთი დღის შეწყვეტის შემდეგ, სამი ინტერნაციონალის საერთაშორისო კონფერენციის სხდომები განახლდნენ, უფრო მეტად მნიშვნელოვან და ხელსაყრელ პირობებში. კონფერენციის ჩაშლის შიშმა, დღევანდელ მომენტში, თითქმის სრულიად განვლო მაკდონალდის სიტყვაში, რომლითაც გაიხსნა სხდომა. სრულიად აღარ მოისმოდა ვანდერველდის პათეთიური მბრალდებლობის ტონი საქართველოს საკითხის შესახებ. მაკდონალდმა განაცხადა, რომ მეორე ინტერნაციონალს არ სურს არავითარი გადაწყვეტილების გამოტანა, თუმცა ეს საკითხი, იმდენად რამდენადაც წარმოადგენს განხეთქილების საგანს მუშათა პარტიებს შორის, რასაკვირველია, თხოულობს გადაწყვეტას. ამ მიზნით მაკდონალდმა შემოიტანა წინადადება, რომ მოაწყონ შერეული კომისია სამი ინტერნაციონალის წარმომადგენლებისგან, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს რომელიმე ტრიბუნალის ხასიათი არამედ ხელი უნდა შეუწყონ შეთანხმების მიღწევაში მოპირდაპირე მხარეთა შორის. მაკდონალდმა მესამე ინტერნაციონალის წარმომადგენელთ შეკითხვით მიმართა, იყო თუ არა უკან დახევა, როგორც ამას ისე სხვა მოთხოვნილებებში, რომელიც წამოყენებულ იყო კვირის სხდომაზე თავიანთი უკანასკნელი სიტყვაში. თუ შეთანხმება მიღწეული იქნება, მაშინ, როგორც ორატორი ფიქრობს, ზაფხულის გასვლამდის შესაძლებელი იქნებოდა საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესის მოწვევა. „ლონდონის ინტერნაციონალი, განაგრძო მაკდონალდმა, მიიღებდა, დღიურ წესრიგს ვენის ინტერნაციონალის მიერ წამოყენებულს". მაკდონალდმა თავისი სიტყვა დაამთავრა იმ რწმენით, რომ საერთაშორისო კონგრესზე სამივე ინტერნაციონალი, უეჭველად მიაღწევენ შეთანხმებას გენუას კონფერენციის შედეგების შესახებ, პარლამენტარულ მოღვაწეობისა და პროფესიონალურ მოძრაობის მასიურ გამოსვლების საკითხში.

### სერატის გამოსვლა

მაკდონალდის სიტყვის ზომიერებამ ვერ შეაფერხა სერატის ძლიერი სიტყვა მესამე ინტერნაციონალის წარმომადგენელთა ტაშის კვრის დროს და მეორე ინტერნაციონალის გაძლიერებულ დრტვინვაში. რომ გამოეაშკარავებინა მთელი უშინაარსობა მეორე ინტერნაციონალის არგუმენტებისა. მიმართა რა ვანდერველდეს, სერატიმ განაცხადა: „თქვენ გამოსულხართ აქ, როგორც ბრალმდებელნი უფრო დამნაშავენი ხართ, ვიდრე თქვენთან ბრალდებულნი." და მოახსენა მას ამასთან შოვინიზმზე, რომლითაც გამსჭვალული იყო მთელი მოქმედება მეორე ინტერნაციონალისა ომის დროს, სერატიმ მხურვალეთ დაუმტკიცა მეორე ინტერნაციონალის ჯგუფს თუ რამდენად უდროოა ეხლანდელ კრიტიკულ მომენტში რაიმე პირობების წამოყენება, როცა პროლეტარიატი პირის-პირ სდგას შემომტევ საერთაშორისო ბურჟუაზიის წინაშე.

ამ კონფერენციაზე რასაკვირველია ბოლშევიკებს არ შეეძლებათ დასთანხმდნენ მათდამი წამოყენებულ მოთხოვნილებას, შესახებ პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლებისა.

თუმცა მე-2 და 2-ნახევარ ინტერნაციონალი ჯერ კიდევ დიდი ხნით კონფერენციის დაწყებამდე, წინასწარმეტყველობდენ, რომ პოლიტიკური ტუსაღები დახვრეტილნი იქნებოდენ, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ცოცხალი არიან. მთელი ეს საკითხი შესახებ პოლიტიკურ ტუსაღებისა გასაბერავი არ არის და არც ღირს წყლულის გაღიზიანება. აღნიშნავს, რა მეორე და 2-ნახევარი ინტერნაციონალის დიდს ინტერესებს საქართველოს მიმართ, სერატი ირონიულად ახსენებს მათ ალჟირზე, ტუნისზე და ზემოსილეზიაზე. მისი აზრით საქართველოს საკითხის გადაჭრა უნდა გადაიდვას იმ დრომდე, როცა მიხწეული იქნება ერთობა, ვინაიდან სხვაფრივ ეს პრობლემა გადაუჭრელი იქნება.

იტალიის სოციალისტურ პარტიის სახელით, რომელშიაც შედის ტრევესის ჯგუფიც, სერატიმ განაცხადა, რომ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერესების მიხედვით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დასმული იქმნას რაიმე წინასწარი პირობები მომავალ საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესისათვის. რაც შეეხება იმ ზურგში დაკვრას, რომელიც ეგრე აშინებს ვანდერველდეს ბოლშევიკების მხრივ მათთან დაახლოვების დროს, ორატორის აზრით მაგარს და ჯანსაღ მოძრაობას ამისი არ უნდა ეშინოდეს. კრების მომეტებული ნაწილის, დემონსტრატიული მოწონების დროს განსაკუთრებით ბელგიელებისა, სერატიმ საყვედური გაისროლა, რომ ბურჟუაზიის ძლიერი ფრონტის რეალიზაციის დროს არ იყო წამოყენებული ასეთი ფრთხილი წინასწარი პირობები. მისი აზრით შესაძლებელია, რომ ბოლშევიკებმა რამდენიმეჯერ გადააჭარბეს სხვა პარტიების მიერ მიღებული ტაქტიკა „იაჩეიკების" შექმნაში, მაგრამ სწორედ უმთავრესი გარანტიას წინააღმდეგ იმისა, რომ შემდეგშიაც არ განვითარდეს ასეთი ტაქტიკა, წარმოადგენს შექმნა პროლეტარიატის მთლიანი ფრონტისა.

### ბაუერის სიტყვა

სერატის სიტყვით შთაგონებული ოპტიმისტური იმედები კონფერენციის წარმატებაზე კიდევ უფრო განმტკიცდა ბაუერის სიტყვის შემდეგ, რომელიც გამოვიდა ნასადილევის სხდომაზე. წინააღმდეგ სერატის თვალსაზრისისა, რომელიც ფიქრობს, რომ კონფერენციამ უმთავრესად ყურადღება უნდა მიაქციოს წმინდა პოლიტიკურ საკითხებს და არა მორალურ კითხვებს და მისი სკეპტიკური განწყობილებისა საერთოდ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებისადმი, ბაუერს თავის სიტყვაში გაჰყავს საშუალო ტაქტიკური ხაზი.

საქართველოს საკითხი მას მიაჩნია მწვავე საკითხად. მაგრამ მისი აზრით სხვა ხალხებზედაც ხდება ძალდატანება, რომელთა წინაშე პასუხისმგებელი სოციალისტები არიან. „პოლიტიკურ-ტუსაღების საკითხის გვერდით რუსეთში, სთქვა ბაუერმა, არსებობს ფაქტები კომუნისტების წინააღმდეგ მთელი წყება დევნისა სხვა და სხვა ქვეყნებში, რომლის პასუხისგება ისევ თავს აწყდება გავლენიან სოციალისტებს. ბაუერმა ცხადად დაამტკიცა, რომ წინასწარი პირობების წამოყენება არ არის სწორი გზა მთლიანი ფრონტის მისაღწევად. „საერთო ბრძოლაში,—სთქვა მან—უნდა განმტკიცდეს ამხანაგური გრძნობა და მოისპოს ურთიერთ მტრობა სოციალისტთა შორის. კრების უმრავლესობის აპლოდისმენტის დროს, განსაკუთრებით მე-3 ინტერნაციონალის წარმომადგენლების მიერ, გაისმა ხმა წერეთლისა „შეეხება ეს საქართველოსაც თუ არა?"

პასუხათ წერეთელს რადეკმა მოხსენა, რომ თავის დროზე თვით წერეთელი იყო მომხრე სიკვდილით დასჯისა.

განაგრძო რა თავისი სიტყვა, ბაუერმა აღნიშნა ის უდიდესი სასოწარკვეთილება, რომელსაც განიცდის პროლეტარიატი და ის სიხარული, რომლითაც მოცული იქნება კაპიტალისტური ქვეყნები, გენუაში შეკრებილნი, როცა ესენი გაიგებენ სამივე ინტერნაციონალის ალმასრ. კომიტეტების კონფერენციის სრულს მიუღწევლობას, მესამე ინტერნაციონალის წარმომადგენლების მხურვალე ხელთაშალი აპლოდისმენტის დროს, ბაუერმა ხაზი გაუსვა მას, რომ საჭიროა კონგრესმა მიმართოს მოწოდებით პროლეტარიატს გენუას კონფერენციის შესახებ. ვენის ინტერნაციონალის პოზიციას კომუნისტური ინტერნაციონალის მიმართ, ბაუერი შემდეგნაირ ფორმულას უკეთებს: „ჩვენ არ ვუყენებთ მას არავითარ ულტიმატუმს და მოუწოდებთ მას გაჰყვეს შეთანხმების იმ პირობებს, რომელიც მისთვის მისაღებია და ამგვარად დააყენოს კლასის ინტერესები, პარტიის ინტერესებზე მაღლა".

### ამხ. რადეკის სიტყვა

შემდეგ გამოდის ამხ. რადეკი. რადეკი თავის სიტყვას იქიდან იწყებს, რომ მაკდონალდს ეძახის ინგლისის იმპერიალიზმის შეუგნებელ თანაშემწეს, როგორც საქართველოს მიმართ, ისე განაპირა სახელმწიფოებისა. რადეკი ხელმეორედ კატეგორიულად უარყოფს მეორე ინტერნაციონალის მიერ მესამე ინტერნაციონალისადმი წარდგენილ ბრალს „იაჩეიკების" შექმნის საკითხში. რადეკმა სთქვა, რომ ყველა საზღვარ გარეთელ ქვეყნებში პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები თავის საკუთარ იდეის პროპაგანდაში ასეთს პრინციპს ატარებენ, [illegible] მეთოდით [illegible] კისა. სადამომძიებლო [illegible] საქართველოს საკითხის გამოსარკვევად და სხვა რადეკის აზრით დაუშვებელია, სხვა არა იყოს მარტო იმ მოსაზრებით, რომ ასეთი საგამომძიებლო კომისია წარმოადგენდა თავის თავად განსაკუთრებულ ტრიბუნალს, რადგან სოციალისტები არ იჩენენ ასეთ მისწრაფებას ეგვიპტესა, ირლანდიის და სხვათა მიმართ. რაც შეეხება მესამე წინასწარ პირობას, სახელდობრ პოლიტიკურ ტუსაღთა განთავისუფლებას და სასამართლოს მსჯელობის უფლებას მათთვის უზრუნველყოფას, აქ რადეკმა აღნიშნა აშკარა განსხვავება საერთაშორისო სოციალიზმის ცენტრალურ გაგებაში ერთი მხრით ლონდონის ინტერნაციონალისა და ვენის ინტერნაციონალის შორის მეორე მხრით. ამისათვის კომუნისტური ინტერნაციონალი დაიცავს, სანამ ორთავე ინტერნაციონალი არ შეთანხმდებიან ამ შეხედულების ინტერპრეტაციაში.

თავის სიტყვის დასასრულში რადეკმა განაცხადა, რომ პროლეტარიატის მთლიანი ფრონტი უნდა შეიქმნას ყოველგვარ წინასწარ პირობების გარეშე. ბაუერის წინადადების შესახებ პროლეტარიატისადმი მოწოდებით მიმართვას, რომ მოწყობილ იქნას დემონსტრაცია გენუას კონფერენციასთან დაკავშირებით, რადეკმა მხურვალეთ მხარი მისცა.

კამათი გრძელდება.

### შეთანხმება მიღწეულია.

**მანჩესტერი.** აპრილის 6 ს ოთხი დღის მძიმე მუშაობის, მრავალ აურზაურიან შეწყვეტისა, და სრული ჩაშლის მუქარისა შემდეგ, როგორც იქნა შეთანხმება სამთავე ინტერნაციონალისა მიღწეული იქმნა და ხელმოწერილი სამივე ალმ. კომიტეტის სრულუფლებიან წარმომადგენელთა მიერ. ფრიდრიხ ადლერმა გაუკეთა ჯამი კონფერენციის ნამუშევარს და განაცხადა, რომ მიუხედავად დიდი განსხვავებისა, მომავალ საერთო მუშაობისათვის საძირკველი ჩაყრილია. სამთავე ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტებმა გადაწყვიტეს აირჩიონ სამ-სამი წარმომადგენელი თითოეულ ე. წ. ცხრის კომისიიდან, რომელიც მოამზადებს შემდეგ კონფერენციას. შეთანხმება ამბობს, რომ კომუნისტები თანახმანი არიან ნება დართონ სოც.-დემოკრატებს დაესწრონ ს. რ. გასამართლებას და აგრეთვე თანახმანი არიან განიხილონ საქართველოს საკითხი. ადლერმა სინანული გამოსთქვა, რომ გაერთიანებული კონფერენცია სამთავე ინტერნაციონალისა არ შესდგა გენუას კონფერენციის დროს. ნაცვლად ამისა გადაწყვეტილია მოაწყონ აპრილის 20-ს საერთო დემონსტრაცია წინააღმდეგ საერთაშორისო კაპიტალისა და უმუშევრობისა. 8 საათის სამუშაო დღისათვის, რუსეთის რევოლუციისათვის, დამშეულთა დასახმარებლად და რუსეთთან დამოკიდებულების აღდგენისათვის.

### საერთო დეკლარაცია.

**ბერლინი.** იანვრის 6-ს, ათი საათის მღელვარე თათბირის შემდეგ, სამთავე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტებისა, რომელთა თათბირის დროს არა ერთხელ წარმოშობილა საშიშროება მოლაპარაკების ჩაშლისა, საღამოსას გაიხსნა კონფერენციის პლენარული სხდომა გამოსაქვეყნებლად სამი ინტერნაციონალის საერთო დეკლარაციისა, რომელიც ხელმოწერილი იყო ვანდერველდის, მაკდონალდის, ადლერის, რადეკის, კლარა ცეტკინის, ფროსარის და სხვათა მიერ, რომელნიც ამავე დროს წარმოადგენდენ წევრებს საორგანიზაციო კომისიისას, შეკრებილნი სამივე ალმ. კომიტეტის მიერ შემდეგი კონფერენციის მოსამზადებლად. დეკლარაცია გამოცხადებული ადლერის მიერ ამბობს: „კონფერენცია ერთხმად აღიარებს, რომ როგორადაც არ უნდა იყოს სასურველი გაერთიანება პროლეტარიატის კლასიკურ ორგანიზაციებისა, ამ ჟამად მხოლოდ სიტყვა შეეხება საერთო თათბირს ყველა წარმომადგენლებისას, კონფერენციაზე სხვა და სხვა მიმართულების ჯგუფებისას საერთო გამოსვლისათვის პროგრამის დასაწესებლად, რომელსაც დასახული ექნება გარკვეული კონკრეტული მიზანი. ამისდა მიხედვით კონფერენცია წინადადებას იძლევა მოწონებულ იქმნას ალმ. კომიტეტების გადაწყვეტილობა ცხრა წევრიან საორგანიზაციო კომისიის დაწესებისათვის, რომელსაც უნდა მიენდოს მომზადება სამთავე ალ. კომიტეტის შემდეგი კონფერენციისა და აგრეთვე გაფართოება კონფერენციისა შეურიგე-

მელთა ჯგუფის მიზიდვით ერთჯერთ ამ სამ ინტერნაციონალისადმი.

თითოეულ ალმას. კომიტეტს ეძლევა უფლება თავისი სამი წარმომადგენლის არჩევის საკუთარი შეხედულობით. ამ საორგანიზაციო კომისიებში არ უნდა იქმნას მიღებული ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც წარმომთქმელია მხოლოდ უმრავლესობის აზრის. კომისიის ამოცანას წარმოადგენს ის, რომ იყოს თორგანო გამომხატველი სამივე ალმას, კომიტეტის ერთსულოვან აზრისა, რამდენათაც ასეთმა უნდა მიიღოს გარკვეული გარეგანი გამოხატულობა. კონფერენცია მიზანშეწონილად სახავს, რომ დასახელებულმა საორგანიზაციო კომისიამ შეეცადოს მოაწყოს წინასწარი მოლაპარაკება ამსტერდამის ინტერნაციონალის პროფკავშირების წითელი პროფ. კავშირების წარმო მადგენლებთან გამო! ანახავათ იმ ზომებისა, რომელიც ალადგენდეს პროფესიონალურ მოძრაობის გაერთიანებულ ფრონტს ეროვნულ და საერთაშორისო მაშტაბში. კონფერენცია მხიდველობაში იღებს კომუნისტურ ინტერნაციონალის წარმომადგენელთა განცხადებას შესახებ წინამდებარი პროცესისა 47 ს. რ. საქმის გარჩევაზე, რომელზედაც დაშვებული იქნება ყველა სათვის სასურველი დამცველნი ისე, როგორც იუწყებოდენ სამივე დაზგების კონფერენციის გახსნამდე. ბრალდებულთა მიმართ ამ პროცესში არ იქნება გამოყენებული სიკვდილით დასჯა; რომ სასამართლო სხდომა მოხდება ღია კარებში და რომ იქ შეეძლებათ დაესწრონ სამივე ინტერნაციონალის ყველა წარმომადგენლნი და გადაკეთონ სტენოგრაფიული ჩაწერა ალნიშნული ალმ. კომიტეტის მომხრე ჯგუფთ სინფორმაციოთ. კონფერენცია ადასტურებს რომ თითოეულმა სამთავე ალმ. კომიტეტმა თანხმობა გამოთქვა მიიღოს და განიხილოს მთელი მასალები შემოსულ სხვა და სხვა წყაროებიდან შესახებ საქართველოს საკითხისა. კონფერენცია ავალებს საორგანიზაციო კომისიას შეაგროვოს ყველა ამ საკითხზე შემოსული დასკვნა და წარმოადგინოს სათანადო მოხსენება სამივე ალმ. კომიტეტის მახლობელ კონფერენციაზე. კონფერენცია აღნიშნავს მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლის განცხადებას, რომელშიაც ის შეუძლებლად სთვლის საყოველთაო კონფერენციის აპრილში მოწვევას, ე. ი. გენუას კონფერენციის სესიის დროს. კონფერენცია აგრეთვე ერთსულოვნად მოითხოვს საყოველთაო კონფერენციის მოწვევის საჭიროებას, ვინაიდან აპრილის განმავლობაში საყოველთაო კონფერენციის ორგანიზაცია აღნიშნულ მიზეზებისა გამო შეუძლებელია. მოსეზრდილი კონფერენცია აცხადებს, რომ შეგნებული პროლეტარიატი მთელი მსოფლიოსი, მდგარი საერთაშორისო კაპიტალისა და იმპერიალიზმის იერიშის წინაშე, ვალდებულია გამოაცხადოს თავის ნებისყოფა მასიური გამოსვლით საერთაშორისო მაშტაბში. ამისათვის კონფერენცია მოუწოდებს ყველა ქვეყნების მშრომელთ საგულისხმო მასიურ დემონსტრაციისათვის გენუას კონფერენციის დროს, სახელდობრ 20 აპრილს თუ ეს ტეხნიკური ან ორგანიზაციული მხრით შეუძლებელი იქნება, მაშინ პირველ მაისისათვის. დემონსტრაცია უნდა მოხდეს შემდეგი ლოზუნგების ქვეშ: 1) 8 საათის სამუშაო დღე 2) ბრძოლა უმუშევრობასთან, რომელიც კაპიტალისტურ სახელმწიფოების რეპარაციულ პოლიტიკის გამო ლეწულობს განსაცვიფრებელ სივრცეს, 3) სოლიდარული გამოსვლა პროლეტარიატისა წინააღმდეგ შემტევი კაპიტალიზმისა. 4) დაცვა რუსეთის რევოლიუციისა; 5) დახმარება დამშეულთ; 6) პოლიტიკური და ეკონომიური დამოკიდებულების აღდგენა საბჭ. რუსეთთან ყველა სახელმწიფოების მიერ. 7) აღდგენა მთლიანი პროლეტარული ფრონტისა ყველა ქვეყნებში ეროვნულ და საერთაშორისო მაშტაბით.

## კომინტერნის დელეგაციის განცხადება.

რადეკმა ბოლოს მესამე ინტერნაციონალის სახელით შემდეგი განაცხადა: „კომუნისტურ ინტერნაციონალის ალმ. კომიტეტის დელეგაციამ მძიმე ყოყმანის შემდეგ გადასწყვიტა დაეთანხმოს ვენის ინტერნაციონალის წარმომადგენლის მიერ მოწოდებულ დეკლარაციას. მისი ყოყმანი გამოწვეულია პირველ ყოვლისა მით, რომ მეორე ინტერნაციონალმა კატეგორიულად უარყო ხალხმოსნატრაცია ლოზუნგად წამ ყ ნება მერხალიხ ხელმიკრულობის შეცვლისა. ამგვარად ღიათ საერთაშორისო მუშათა გაერთიანება უკან რჩება, ვიდრე ფრონ შორის გაშქვრიტი დასავლით ევროპის ლიბერალებისა. ეს მოფიქრება ნებას არ იძლევა ვირწმუნოთ, რომ მეორე ინტერნაციონალი მართლა მოინდომებს ბრძოლას წინააღმდეგ იმ საშიშროებისა, რომ გენუაში არ მოხდეს ხელი ახალი ევროპიის ხელშეკრულობა, რომ ის ნამდვილად ყოვლადგარი საშუალებით შეებრძოლება შემტევ კაპიტალიზმს. მიუხედავად ამისა კომუნისტური ინტერნაციონალის ალმ. კომიტეტმა გადასწყვიტა ხმა მისცეს საერთო რეზოლიუციას, იმიტომ საერთაშორისო მუშათა კონფერენციის მოწვევის ცდამ გენუას კონფერენციის დაწყებამდი სრული დამარცხება განიცადა მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგობისა გამო. მიუხედავად ყველა ამ მიზეზებისა კომ. ინტერნის ალმ. კომიტეტის დელეგაციამ მოიწონა მოწოდებული რეზოლიუცია რათა ხელი არ შეეშალოს, არამედ ხელი შეუწყოს ყოველგვარ, თუნდაც უმცირეს ნაბიჯის წინ გადადგმას, მის სწრაფად პროლეტარიატის მთლიანი ფრონტისა.

ამასთანავე მან უარყო ამ წინასწარ კონფერენციაზე მოთხოვნილება, რომ გამოძიებული ყოფილიყო მკვლელობა როზა ლუქსემბურგისა, ლიბკნეხტისა, ლევინისა და აგრეთვე გამოძიება ყველა დანარჩენ მორალური (?) მოყვა სამოქალაქო ომს გერმანიაში. ამავე მიზნის გამო, მან უარყო თავისი წინანდელი განზრახვა, რომ ამ წინასწარ კონფერენციაზე გაეშუქებინა ის როლი, რომელიც ს. დ. პარტიამ ითამაშის კომუნისტების დევნაში პოლონეთში, ლატვიაში, საბჭოთ სომხეთში და ჩეხეთში. ის ეგონებს უფლებას, რომ მოითხოვოს კომისიას დანიშნოს სამართლიანი კომისია განსახილველად ამისა და სხვ. მსგავს შემთხვევებისა. ამავე მიზნისა გამო, ის არ მოითხოვს გერმანის ს. დ-დან უკვე ამ წინასწარ კონფერენციაზე განთავისუფლებას გერმანიის პროლეტარიატის მებრძოლთა. ის აგრეთვე უარსაყოფს ამავე წინასწარ კონფერენციაზე მოითხოვს გამოკვლევა ინგლისის მუშათა პარტიის პოზიციისა ირლანდიისა და ინგლისის კოლონიების მიმართ.

იმედოვნებს, რა უფრთხის (?), რომ ყველა ეს კითხვები წამოყენებული იქნას მუშაობის შემდეგ პროცესში, მესამე ინტერნაციონალის დელეგაცია იმ რწმენით რჩება, რომ რეფორმისტების კოალიციური პოლიტიკის გაუწყვეტლად, რაც წარმოადგენს აღნიშნულ შემთხვევების პირველ მიზეზს, ნამდვილი მთლიანი პროლეტარიატის ფრონტის შექმნა შეუძლებელია. დელეგაციამ კომინტერნის ალმ. კომიტეტისამ გადასწყვიტა მიემხროს საერთო დეკლარაციას და იმ სუსტს მთლიანი პროლეტარიატის ფრონტის ჩანასახს, რომელმაც ჰპოვა მასში თავისი ანარეკლი, იმ მტკიცე რწმენით, რომ გარემოებათა სიძლიერე დააწყებინებს პროლეტარულ მასას ბრძოლის მეღდომას და დაარწმუნებს მას საჭიროებაში, რომ აიძულონ თავიანთი რეფორმისტული ბელადები უკანასკნელთა პოზიციის შეცვლაში, თუ რომ არ მოისურვებენ, რომ პროლეტარიატმა თავის გზაზე თვით გამოსცვალონ ისინი.

ვენის ინტერნაციონალის დეკლარაციაში სხვათა შორის ნათქვამი იყო:

„კონფერენცია აცხადებს, რომ ყველა პროლეტარული პარტიები ვალდებულია თავიანთ ქვეყნებში ენერგიულად მოითხოვონ დაუყონებლივი განთავისუფლება ყველა პოლიტიკურ ტუსაღებისა, განსაკუთრებით მათი, რომელიც იმყოფებიან გამოძიების ქვეშ, ანუ იხდიან სასჯელს სამოქალაქო ომის დაწყებიდან.“ კომ. ინტერნის დელეგაციამ განაცხადა, რომ ის ვერ შეუერთდება ამ ნაწილს ვენის ინტერნაციონალის დეკლარაციისას. და რომ ამგვარის უთანხმოებას ხელი არ შეეშალა კონფერენციის საერთო შედეგებისათვის. ვენის ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა უარყვეს ზემო აღნიშნული. მუხლს საერთო დეკლარაციის ტექსტში შეტანა. მეორე ინტერნაციონალის ალმ. კომიტეტი ერთხმად უერთდება ვენის ინტერნაციონალის დეკლარაციას. კონგრესი დაიხურა „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

## ახალი ამბები

— ცირკულიარული განკარგულება. სახელმწიფო თეატრების მმართველისა. სახალხო განათლების კომისრის განკარგულებით (ყველა მანდატები აქნო ბამდინ სახელმწიფო თეატრებში შესასვლელად მიეცემული 25 ამ აპრილიდან გაუქმებულია. იმ პირთ და დაწესებულებით, რომელთაც აქვთ მინიჭებული უფლება სახელმწიფო თეატრებში შესასვლელად უნდა ხელ-ხალად შეეცვალონ და მიიღონ 20 აპრილიდან ახალი ბილეთების წიგნაკები აკადემიურ თეატრების სამმართველოში.

— ქალაქში ჩამი ხელის მომწერით ბარათაშვილის თხზულებაზე საყურადღებოთ გარიხადება—ვისაც სურს მიიღოს ხსენებული წიგნი, მოიკითხოს ჩემ ბინაზე—ტფილისში, ვირის დაღმართი სახლი № 5. ბინა 3. ორმოც და ხუთი ათასის დამატებით. პატივისცემით თედოსი ჯაფარიძისა.

— მეცნიერთა კრება. ოთხშაბათს 24 აპრილს საღამოს 7 საათზედ, საქართველოს მუზეუმის შენობაში დანიშნულია კავკასიაში მყოფი განყოფილებების რუსულ გეოგრაფიულ და მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებების მეცნიერთა კრება.

— კოოპერაციების გაერთიანება. კოოპერატივთა ცენტრო კავშირი 5 მაისისთვის ბაქოში იწვევს ცენტრალურ კოოპერატივების ორგანიზაციების წარმომადგენელთა საერთო ყრილობას. ყრილობის მიზანია ამიერკავკასიაში კოოპერატივის საერთო ცენტრალური ორგანოს დაარსება.

— აღდგომის საჩუქრები დამშეულთათვის რუსეთის დამშეულთა მთავარ კომიტეტმა სააღდგომო საჩუქრებისათვის დამშეულთა ბავშვებისთვის გაილო 15 მილიონი მანეთი.

— ბათომის ბირჟზე. 17 აპრილს (ფ. სტერ—პიასტრებში)

| | |
|---|---|
| სტერლინგები | 00—05 |
| საფრანგეთ. ფრანკი | 12 |
| იტალიის ქ. დ. ლირა | 6 |
| ოსმ. ლ. ლირა ოქრო | 550 |
| ამერიკ ს დოლარი | 136—138 |

— ბათომის ნავთსადგურში 8—9 აპრილს ნავთსადგურში ჩამოვიდა ინგლისის გემი „ეკრედ“-ი 1000 ტონი ტვირთით და 40 მგზავრი ჩამოიყვანა. 11 აპრილს ჩამოვიდა იტალიის გემი „პერსია“ 750 ტონი ტვირთით და 14 მგზავრით, 12 აპრილს ჩამოვიდა იტალიის „უმბრია“. გავიდნენ ნავთსადგურიდან. საფრანგეთის გემი „საზრია“ და იტალიის „კარნარო“ ორივე კონსტანტინოპოლში 93 ტონი ტვირთით და 25 მგზავრით. 12 აპრილს ნავთსადგურში იდგა 7—გემი და 89—ხომალდი.

## პარტიაში

— შაბათს, აპრილის 22, საღამოს სრულ 6 საათზედ დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა „ტრიბუნის“ რედაქციაში. წევრებს ევალებათ აუცილებლად დაესწრონ.

## თეატრი და ხელოვნება
### „გეიშა“.

საზაფხულო სეზონი დაიწყო აღდგომის მესამე დღეს.

ითამაშეს „გეიშა“.

საინტერესო იყო ოპერის მსახიობნი ოპერეტაში:

სტაროსტინა, ინაშვილი, კავსაძე, ბოკოვა.

სტაროსტინა ამ საღამოს საუცხოვო იყო—მღეროდა როგორც არასოდეს. და მიუხედავად მისი ტანის აღმართ-დაღმართის—თამაშობით და ცეკვითაც მოაჯადოვა ხალხი.

ინაშვილს ძალიან უხდებოდა ინგლისური ტანისამოსი, რა კარგი, რა დამატკბობელია მისი ხმა. მხოლოდ ოპერეტაში—როგორც ეტყობოდა ჯერ-ჯერობით ვერ შეჩვეულა: პროზად ლაპარაკში—მოიკოჭლებდა.

ქართველი ახალგაზრდა მომღერლები თანდათანობით ეტანებიან ოპერას: ლვინიაშვილი, თარხან-მოურავი, მეგრელიშვილი, თუმანიშვილი, კავსაძე და სხვ.

კავსაძეს საზოგადოთ ლამაზი ტენორი აქვს. მისი ხმა, როცა იგი პიანოთი მღერის, მომხიბლავია ხოლმე, მხოლოდ თამაში კი ოპერებში ცოტათი ვერ აქვს დამაკმაყოფილებელი. ეს ნაკლი „გეიშაში“ სულ არა სჩანდა. ლადო კავსაძე „გეიშაში“ ასრულებდა კონჩხის (საჩაიეს პატრონის) როლს. ამ როლში სიმღერა თითქმის არ არის, სამაგიეროდ ეს როლი მსახიობისგან მოითხოვს ჰკვიანურ თამაშს, რომ როლი შარჟად არ გადაკეთდეს. და ლ. კავსაძემ—მიუხედავად იმისა, რომ კუნჩხი მისი ამპლუა არ არის,—სავსებით დაგვაკმაყოფილა: მისი ყოველივე მიმოხვრა რხევა, თუ კრუტუნი, მაყურებლებში გულწრფელ სიცილს და სიამოვნებას იწვევდა: ისეთი კარგი გრიმი ჰქონდა, რომ ბევრმა მხოლოდ მესამე მოქმედებაში იცნო, როცა ყოველ დღიურ პირ-ვარამზე კუპლეტებს მღეროდა.

როგორც ყოველთვის უნაკლულო იყო აგრეთვე დამიანენკო გუბერნატორის როლში. საუცხოვო იყო—ბოკოვა, არა უშავდა რა ნეიმანს.

ერთი რჩევა მსახიობთა კოლექტივს: თბილი დღეები თეატრში ბევრს მაყურებელს აუცრუებს გულს. საჭიროა ისეთი რეპერტუარის შექმნა, რომ ზაფხულის სეზონმაც იხეიროს და მაყურებელიც ბოლომდე შერჩეს ოპერას. ამისთვის ძველი ოპერების გამეორებით დადგმას უნდა ერიდონ, საზაფხულო სეზონი, ყოველთვის გადახალისებას მოითხოვს. ჩემის აზრით კი საჭიროა, რომ ამ გაზაფხულზე—და მით უმეტეს ამ ნერვიულ ხანაში—ხშირად იდგმებოდეს ოპერეტები. ოპერეტები რომ კარგად ჩაივლის, ამის ძალები საკმაოა სახელმწიფო თეატრში და რომ ხალხიც სიამოვნებით დაესწრება ამის, თავდებია ამას წინად გათამაშებული „გეიშა“.

ოპერეტების ხელმძღვანელობა კი უნდა მიენდოს სპეცებს.

**უჯავრელი.**

## სავალდებულო დადგენილება

**ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმისა (სამმართველოს განყოფილ.)**

**№ 4.**

20 აპრილი 1922 წ. ქ. ტფილისი.

ქალაქ ტფილისის ფარგლებში მცხოვრებ მოქალაქეთა სწორი რიცხვის გამოსარკვევათ და ქალაქში შემოსულ და ქალაქიდან გასულ მოქალაქეთა აღრიცხვის საწარმოებლად ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

§ 1. განახლებულ იქნას ქალაქის ფარგლებში არსებულ ყველა კერძო თუ საზოგადო ან სახელმწიფო სახლების საბინაო დავთრები, რის გამო ყველა სახლის პატრონებს, ან მათ მოურავებს, საბჭოთა სახლების კომენდანტებს, სასტუმროების და მოწყობილ ოთახების მეპატრონე-მოიჯარადრეებს ევალებათ ა/წ. 1-ლ მაისამდის შეიძინონ ქალაქის სამისამართო ბიუროდან 1922 წლის საბინაო დავთრები და შეიტანონ ამ დავთრებში საჭირო ცნობები შემდეგი სახით:

1) ამა თუ იმ სახლში მცხოვრებ ყოველ მოქალაქეზე, მიუხედავათ იმისი, აქვს ამ მოქალაქეს ტფილისის განტვირთვის და ფილტრაციის განსაკუთრებული საუწყებათაშორისო კომისიის მიერ გაცემული ქალაქში ცხოვრების ნებართვა თუ არა, შედგენილ უნდა იქნას ნამდვილი და სწორი ცნობებით ახალი სამისამართო ბარათი და ჩაიწეროს 1922 წლის საბინაო დავთარში.

2) ამ სახით შედგენილი 1922 წ. საბინაო დავთარი მასში ჩაწერილ ყველა მოქალაქეების, როგორც მოზრდილების ისე, ბავშვების სამისამართო ბარათთან და 1921 წლის ძველ საბინაო დავთართან ერთად უნდა წარედგინოს სარაიონო მილიციის სამმართველოში სამისამართო ბარათების მიღების შესამოწმებლად.

§ 2. 1922 წლის განახლებული საბინაო დავთრის შემდეგი წარმოების დროს მტკიცეთ უნდა იქნეს დაცული შემდეგი წესით:

1) ყველა სახლის პატრონები ან მათი მოურავები, საბჭოთა სახლების კომენდანტები, სასტუმროების და მოწყობილ ოთახების მეპატრონე-მოიჯარადრეები ვალდებულნი არიან 24 საათის განმავლობაში წარუდგინონ სათანადო სარაიონო მილიციის სამმართველოს სამისამართო ბარათები მიღებს შესამოწმებლად, მათ გამგებლობაში მყოფ სახლში საცხოვრებლად ჩამოსულ, ან ქალაქიდან გასულ ანდა სხვა ბინაზე საცხოვრებლად გადასულ მოქალაქის შესახებ სამისამართო ბარათი ამ მოქალაქის ჩამოსვლის ანდა წასვლის დროს და ახალი მისამართის აღნიშვნით.

შენიშვნა: 1. ზემოაღნიშნული მოთხოვნილების ასრულება სასტუმროების და მოწყობილ ოთახების მეპატრონე-მოიჯარადრეებს ევალება 12 საათის განმავლობაში.

2. სასტიკათ აკრძალულია საბინაო დავთრებში ისეთ მოქალაქეების ჩაწერა, რომელთაც არა აქვთ თავიანთ ვინაობის დამამტკიცებელი საბუთი.

2) ყოველი მოქალაქე, რომელსაც ამა თუ იმ სახლში უქირავს ცალკე ბინა, ვალდებულია 12 საათის განმავლობაში განუცხადოს იმ პირს, რომელსაც დავალებული აქვს საბინაო დავთრების წარმოება, შინიდან დროებით ან სამუდამოთ მცხოვრებ პირის წასვლა და ბინაში ახალი პირის მომატება.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე მოქალაქე უარს აცხადებს საბინაო დავთარში ჩაწერაზე, დავთრის მაწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ სათანადო სამილიციო რაიონის სამმართველოს. ამ უკანასკნელს კი ევალება სასწრაფო წესით სათანადო ზომების მიღება.

3) ქალაქში მცხოვრებთა და ტფილისში ჩამომსვლელთა შესახებ სამისამართო ცნობები იწერება თეთრ ბარათზე, ხოლო ერთ ბინიდან მეორეში გადასულთა, ქალაქიდან გასულთა, გათხოვილთა, გადაცვლილთა, საავადმყოფოში მოთავსებულთა და საპყრობილეში დატუსაღებულთა შესახებ კი ფერად ბარათზე.

შენიშვნა: თუ გათხოვებისა დედობრივ სქესის პირი გადასახლდა, ის უნდა აღინიშნოს წასულთა ბარათში და ახალ ბინადრობის უჯრედში უნდა ჩაიწეროს ვის მისთხოვდა და სად წავიდა, ხოლო თუ ქორწინების შემდეგ ის იმავე ბინაზე დარჩა, მაშინ ის უნდა აღინიშნოს აგრეთვე თეთრ ბარათზე ქმრის გვარით. დატუსაღებულთა, საავადმყოფოში წაყვანილთა და გადაცვლილთა შესახებ ბარათში უნდა აღინიშნოს: რომელ გამასწორებელ სახლშია დატუსაღებული, რომელ საავადმყოფოში წევს და როდის გადაიცვალა,

4) ყოველი პირი სამისამართო ბარათში უნდა აღინიშნოს ცალკე.

5) თუ მოქალაქე მიდის ქალაქიდან ან გადადის ერთ-ბინიდან მეორეზე, ვალდებულია წერილობით ან სიტყვიერათ აცნობოს თავისი სრული ახალი მისამართი იმას, ვისაც დავალებული აქვს აწარმოოს საბინაო დავთარი.

6) ვინც ორ სხვა და სხვა გვარს და სახელს, ანდა ორმაგ გვარს ატარებს, ის უნდა ჩაიწეროს სამისამართო ბარათში ორივე სახელისა და გვარის აღნიშვნით.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

ტირაჟი 500 საქართვ. კომუნისტურ პარტიის ცენ. კომიტ. სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4. ნ. ლ. ს. ც.